ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4939959

ნომერი: AR1746171

თარიღი : 28.04.2020

გაცემის თარიღი : 29.04.2020

გაცნობის თარიღი : 30.04.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლადო ასათიანი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ქურთაული პ/ნ 01001092185
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 15 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 28 აპრილის AR1746171 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქ. N22-ში დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მიმდინარეობს საქმის წარმოება პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, შესაბამისად რეკომენდირებულია დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობა გათვალისწინებული იქნას პროექტში. ამასთანავე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში, თუ სადემონტაჟო სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა, შესაძლებელია მოითხოვოთ დემონტაჟის ნებართვის გაგრძელება, სადაც საპროექტო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნება დროებითი სამშენებლო ღობე.

ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.